პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

პროგრამის მიზანია:

- [ა] შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა სამართლის არსის, პრინციპების, ინსტიტუტების, ქართული სამართლის ისტორიული წყაროების, ასევე საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საჯარო, კერძო, სისხლის და საერთაშორისო სამართლის დარგობრივი სასწავლო კურსების ძირითადი თეორიების, წესების, პრინციპებისა და რეგულირების თავისებურებების შესახებ;
- [ბ] გამოუმუშავოს სამართლის სფეროში არსებული რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების ამოცნობის, სამართლის მეთოდების გამოყენებით მათი გადაწყვეტის შესაბამისი გზების შემუშავების, შერჩეული მიდგომის დასაბუთებისა და საკუთარი არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- [გ] გამოუმუშავოს სამართლებრივი ხასიათის დოკუმენტების შედგენის და წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტების შემუშავების უნარი;
- [დ] გამოუმუშავოს სამართლის ნორმების, წყაროების, სასამართლო პრაქტიკის, მეთოდების ანალიზის, საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, დავის გადაწყვეტის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების, სამართლებრივ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების და მისი დასაბუთების, ასევე იურიდიული მოქმედებების განხორციელების და სხვა იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის უნარი;
- [ე] გამოუმუშავოს ქართულ ან/და უცხოურ ენებზე საჭირო ინფორმაციის, მათ შორის საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მოძიებისა და საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარი;
- [ვ] გამოუმუშავოს საკუთარი იდეების, სამართლის სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან, იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი;

- [ზ] გამოუმუსაოს პროფესიული ეთიკა და მის ფარგლებში მოქმედების უნარი;
- [თ] ჩამოუყალიბოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით მოქმედების უნარი.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

➢ [1] აღწერს:

- სამართლის არსს, სისტემას, ძირითად პრინციპებს, სამართლებრივ სისტემებს, სამართლის ნორმას და მისი განმარტების მეთოდებს, ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებს, ძველი ქართული სამართლის დარგებს, ინსტიტუტებს, ფუნდამენტურ პრინციპებსა და სამართალგანვითარების ტენდენციებს;
- სახელმწიფო მოწყობის ძირითად პრინციპებს და ეროვნული მოდელის თავისებურებებს, ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემას და თავისებურებებს, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ძირითად უფლებათა კონცეპტუალურ და ღირებულებით საკითხებს, შეზღუდვის პრინციპებსა და დაცვის ეროვნული მექანიზმის თავისებურებებს, საკონსტიტუციო სამართალწარმოების თავისებურებებს;
- ადმინისტრაციული სამართლის პრინციპებსა და რეგულირების თავისებურებებს, საჯარო მმართველობის ორგანიზაციული მოწყობის ფორმებს, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ფორმებს, ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებებს;
- კერძო სამართლის სისტემას, სამოქალაქო სამართლის უზოგადეს ცნებებს, პრინციპებს და რეგულირების თავისებურებებს, სანივთო სამართლის სისტემას და პრინციპებს, სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებით ურთიერთობებს, საოჯახო და მემკვიდრეობით სამართლებრივ ურთიერთობებს, შრომის სამართლის პრინციპებსა და შრომის უფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, სამეწარმეო სამართლის პრინციპებსა და სამეწარმეო თავისუფლების დაცვის ეროვნულ მექანიზმებს, სამოქალაქო სამართალწარმოების თავისებურებებს;
- სისხლის სამართლის პრინციპებს, დანაშაულის არსსა და სახეებს, სასჯელის სისტემას, სისხლის სამართალწარმოების სტადიებსა და თავისებურებებს;
- საერთაშორისო სამართლის სისტემას, ძირითად პრინციპებს, ინსტიტუტებს, საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობების მექანიზმებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის თანაფარდობას;

➢ [2] განსაზღვრავს სამართლებრივი დავის წარმოშობის მიზეზებს, ძირითად მახასიათებლებსა და და მათი სამართლებრივი საშუალებებით გადაწყვეტის გზებს;

➢ [3] ამოიცნობს საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს და სტანდარტული ან/და ზოგიერთი უახლესი მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის შესაბამის გზებს;

➢ [4] აანალიზებს საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის ნორმებს, წყაროებს, მეთოდებს საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, მათი შეფასების, სამართლებრივ დავაში პოზიციების დასაბუთების, კონკრეტული იურიდიული მოქმედებების განხორციელების ან სხვა იურიდიული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით;

➢ [5] ადგენს სამართლებრივი დოკუმენტების, მათ შორის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, სამართალშეფარდებითი აქტების, საპროცესო დოკუმენტების (სარჩელი, შესაგებელი, შუამდგომლობა, შუალედური საპროცესო აქტები,

სასამართლო გადაწყვეტილება, სააპელაციო საჩივარი, საკასაციო საჩივარი და ა.შ.), ინდივიდუალური და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების პროექტებს; შეიმუშავებს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

➢ [6] შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის სტრატეგიასა და ტაქტიკას, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით;

➢ [7] მსჯელობს საკუთარი იდეების, არსებული სამართლებრივი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერითი ფორმით, შესაბამისი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

➢ [8] მოიძიებს და გამოარჩევს საჭირო ინფორმაციას, მათ შორის, ეროვნული და საერთაშორისო სამართლის წყაროებს, საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო პრაქტიკას, სამეცნიერო სიახლეებს, ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემებისა და სხვა მონაცემთა ბაზების, ძირითადი სამართლებრივი საინფორმაციო სისტემების მეშვეობით;

➢ [9] ცნობს იურისტის ეთიკური სტანდარტების საჭიროებას, მოქმედებს იურისტის ეთიკური და პროფესიული ქცევის ნორმების ფარგლებში, პატივს სცემს ადამიანის უფლებებს, მონაწილეობს შესაბამისი სამართალწარმოების პროცესში სამართლებრივი ღირებულებების გათვალისწინებით;

➢ [10] წარმართავს საკუთარი და სხვების განვითარებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის ძირითადი პრინციპების დაცვით; ავლენს საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარს, „მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის“ პრინციპის დაცვით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი

სკალით. დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70ქულა;
- **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლისუფლება;
- **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვსშესასწავლი.

(FX)-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php		
სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით		
№	**სასწავლო კურსი**	**კრედიტი**
	თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები	
1	გამოყენებითი ინფორმატიკა	**5**
2	აკადემიური წერის ელემენტები	**3**
	თავისუფალი კომპონენტის არჩევითი სასწავლო კურსები	
3	ფილოსოფიის საფუძვლები	**3**
4	პოლიტიკის საფუძვლები	
5	კულტუროლოგია	
6	სოციოლოგიის შესავალი	
7	ენობრივი კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიები	
8	შესავალი ფსიქოლოგიაში	
	უცხოური ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული)	
9	უცხოური ენა (ინგლისური) B.1.1	**6**
10	უცხოური ენა (გერმანული) B.1.1	
11	უცხოური ენა (ფრანგული) B.1.1	
12	უცხოური ენა (რუსული) B.1.1	
13	უცხოური ენა (ინგლისური) B.1.2	**6**
14	უცხოური ენა (გერმანული) B.1.2	
15	უცხოური ენა (ფრანგული) B.1.2	
16	უცხოური ენა (რუსული) B.1.2	
17	უცხოური ენა (ინგლისური) B.2.1	**5**
18	უცხოური ენა (გერმანული) B.2.1	
19	უცხოური ენა (ფრანგული) B.2.1	
20	უცხოური ენა (რუსული) B.2.1	
21	უცხოური ენა (ინგლისური) B.2.2	**5**
22	უცხოური ენა (გერმანული) B.2.2	
23	უცხოური ენა (ფრანგული) B.2.2	
24	უცხოური ენა (რუსული) B.2.2	
25	პროფესიული უცხოური ენა (ინგლისური) 1	**5**
26	პროფესიული უცხოური ენა (გერმანული) 1	
27	პროფესიული უცხოური ენა (ფრანგული) 1	
28	პროფესიული უცხოური ენა (რუსული) 1	
29	პროფესიული უცხოური ენა (ინგლისური) 2	**5**
30	პროფესიული უცხოური ენა (გერმანული) 2	
31	პროფესიული უცხოური ენა (ფრანგული) 2	
32	პროფესიული უცხოური ენა (რუსული) 2	

	ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასაწავლო კურსები	
33	შესავალი სამართალმცოდნეობაში	5
34	ქართული სამართლის ისტორია	5
35	შესავალი საკონსტიტუციო სამართალში	6
36	შესავალი სამოქალაქო სამართალში	5
37	რომის სამართალი	5
38	საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი	5
39	სანივთო (ქონებრივი) სამართალი	5
40	ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები	5
41	ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი	5
42	ზოგადი ადმინისტრაციულ სამართალი I (საჯარო მმართველობა)	5
43	სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილი)	5
44	ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით	5
45	საერთაშორისო საჯარო სამართალი	5
46	სახელშეკრულებო სამართალი	5
47	ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი II (ადმინისტრაციული წარმოება)	5
48	სისხლის სამართალი -კერძო I(ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)	5
49	ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი	5
50	საფინანსო საართალი	5
51	სამოქალაქო სამართლის პროცესი I	5
52	სისხლის სამართალი - კერძო II (დანაშაულის სხვა სახეები)	5
53	სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი)	5
54	კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები	5
55	სამოქალაქო სამართლის პროცესი II	5
56	საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი	5
57	შრომის სამართალი	5
58	სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი)	5
59	ადმინისტრაციული სამართლის პროცესი	6
60	სამეწარმეო სამართალი	6
61	იმიტირებული პროცესი სამოქალაქო სამართალში	3
62	იმიტირებული პროცესი სისხლის სამართალში	3
63	იმიტირებული პროცესი ადმინისტრაციულ სამართალში	3
64	პროფესიული ეთიკა	5
65	საკონსტიტუციო სამართალწარმოება	5
66	ადმინისტრაციული სამართალდარღვევები	5
	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები	
	საჯარო სამართალის მოდული	
67	საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია	6
68	ნორმატიული აქტების სამართალი და კანონშემოქმედებითი ტექნიკა	3

69	საზღვაგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი	6
70	გარემოს დაცვის სამართლის საფუძვლები	6
71	სამოხელეო სამართალი	3
72	მედია სამართალი	6
73	საგადასახადო სამართალი	6
74	საარჩევნო სამართალი	3
75	სამშენებლო სამართალი	3
76	განათლების სამართალი	3
	საერთაშორისო სამართალის მოდული	
77	ევროკავშირის სამართალი	6
78	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი	6
79	საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი	6
80	საერთაშორისო სახელშეკრულებლო სამართალი	3
81	ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამართალი	3
82	დიპლომატიური და საკონსულო სამართალი	6
	კერძო სამართლის მოდული	
83	დაზღვევის სამართალი	3
84	საბანკო სამართალი	3
85	გადახდისუუნარობის სამართალი	3
86	ფასიანი ქაღალდების სამართალი	3
87	ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	3
88	სანოტარო სამართალი	3
89	დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებები	3
90	საერთაშორისო კერძო სამართალი	6
	სისხლის სამართლის მოდული	
91	საგამოძიებო სამართალი	3
92	არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	3
93	კრიმინალისტიკა	6
94	კრიმინოლოგია	6
95	სასჯელაღსრულების სამართალი	3
96	საპროკურორო სამართალი	3
97	საპროცესო აქტების წარმოება	3
98	სასჯელის შეფარდება	3
	პრაქტიკული კომპონენტი	
99	პრაქტიკული სამართლის კლინიკა	12
100	პრაქტიკა	12
	კვლევითი კომპონენტი	
101	საბაკალავრო ნაშრომი	12
	თავისუფალი კომპონენტი	